

მწყმესი



მე ვარ მწყმესი ფთილი: მწყმესმან კეთილბან სული თვისა დაქსლვის ცხოვართვის (იოან. 10—11).

ვგოვ ცხოვარი ჩემი წარწყმედელი. ესრეთ იოს სხიარული ცთა შინა, ერთსათვის ცოდვილისა. (ლევ. 15—1).

მოველით ჩემდა ყოველი მასურალინი და ტვირო-მიმიენი და მე განგისენო თქვენ. (მათ. 11—28).

№ 21

1883—1893


15 ნოემბერს.

რედაქციისაგან.

წარსული თვის პირელი რიცხვიდამ ჩვენს გამოცემა «მწყმესი» გადადგა მეთერთმეტე წელიწადში. ათი წლის განმავლობაში ჩვენს გამოცემას ბევრი დაბრკოლება შეხვდა, ბევრი გაქირვება გამოსცადა როგორც სხვათაგან ისე თეიანთათგან, მაგრამ არა მიშხედელი ამა დაბრკოლებათა არასოდეს ერთხელეე აღრჩეული გზისათვის არ გადაუხვევია, არც ერთჯერ თვის მიზნისათვის არ უღალატებია. სარწმუნოებისა და კეთილ-ზნობის სწავლათა ვაგრცელება ხალხში, სალიტერატურო სწავლის ვაგრცელება ჩვენს საზოგადოებაში, ცხოვრების კითხვები, გამოკლეფა ჩვენს წარსულისა და აწმყოისა, რანი იყოფით და რანი ვართ, საეჭვო კითხვების განმარტება, ცხოვრებაში გამოსადეგი საჭირო, «სასარგებლო» და სახელმძღვანელო ცოდნის მიწოდება, — აი კითხვები, რომელნიც «მწყმესს» ნიადაგ სახეში ჰქონდა და აქეს.

ათი წლის განმავლობაში, მადლობა ღმერთს, ჩვენმა ორგანმა «მწყმესმა» ცხადათ დაუმტკიცა მკითხველ საზოგადოებას თვის მიპართულება და ის, თუ რას ემსახურება იგი. შემდგეშია ჩვენი ორგანო მტკიცედ და გაბედულად იელის ერთხელეე მისგან აღრჩეულ კელიან გზაზედ. დიდათ სასიხარულოა, რომ ჩვენში თანდათან მრავლდებიან ისეთნი პირნი, რომელთაც არა სწამთ ხალხის წარმატება, კეთილდღეობა და ბედნიერი ცხოვრება თეინიერ სარწმუნოებისა, კეთილ-ზნობისა და სწავლა-მეცნიერებისა...

მიმდინარე წელში რედაქციამ ხელის-მომწერთა, რომელთაც ხუთი მანეთი შემოიტანეს, საიუქრად დაურიგა თითო ცალი განაბადანას, მეორე გამოცდროგორც ყველა ოჯახისათვის საჭირო და სასარგებლო სეფილი წიგნი. მომავალ წელში ჩვენ განვიზრანეთ საიუქრად დაერიგოს ხელის მომწერთა ოლეოგრაფიული მოზრდილი მხატვრობა თამარ მეფისა, რომელი მხატვრობაც წარმოადგენს იმ დროს,





როდესაც შოთა რუსთაველმა მიართვა მას თავის უკუდავი გეფხას ტყაფასა.

სრული იმედი გვაქვს ჩვენი სამღვდლოებისა და საზოგადოების, რომ იგინი აღმოგვიჩინენ ჩვენ თავის მხრით ჩვეულებრივ დახმარებას და თანაგრძნობას.

რედ. დგ. დ. დამასაძიე.

ქართლ-კახეთის ეპარქიის მთელი სამღვდლოების ღებუტატების კრებისა გამოქ. თბილისში ოქტომბრის 8—14-დე.

(გაგრძელება *)

დგ. ბლად. დოგვინიოვი. ყარსის მახრაში, გარდა მცირედენი რუსებისა, სცხოვრებენ უმეტესად ბერძნები, რომელთათვისაც გამოხადეგი არ იქნება არც რუსული და არც ქართული წიგნები, მათთვის საჭიროა საკითხავი წიგნები მათსავე ენაზე, მაგრამ ბერძნულ ენაზე ხალხისათვის საკითხავ წიგნებს მთელს იმპერიაში ვერ იშოვის კაცი.

დგ. შუტცი ე. ჩუხუჩავი. თუ ყარსის მახრაში არ შეიძლება ეკლესიებთან წიგნთ-საცავების დაარსება, ვინა-ღვან იქ უმეტესად ბერძნები სცხოვრებენ, ეს იმას არ ამტკიცებს, რომ ასეთი წიგნთ-საცავების დაარსება არასდ არ შეიძლებოდეს მთელს საქსარხაში, სადაც უმეტესობას შეუძლია კითხვა რომორც ქართულა ისე რუსულს ენაზე.

დგ. ბლად. ს. დავადავი. ეპარქი ლური წიგნთ-საწყობების დაარსება, საიღამაც შეიძლებოდეს ვერცხება, ხატების და საეკლესიო სხვა და სხვა ნივთების მიღება, მე დღეგრ საათოვებოა საქმედ მიმაჩნია, მაგრამ იმის დახაზვლება კი, თუ რა საშუალებით დეფარაით ასეთი საწყობები, არ შეიძლია. ყველა ეკლესიებთან წიგნთ-საცავების დაარსება შეუძლებელია, რადგან ჩვენი ეკლესიები მეტის-მეტედ ღარიბები არიან და არც საჭირო წიგნები მოიპოვება დღეს წიგნთ-საცავებისათვის. მე არ ვფიქრობ, რომ ამისთანა წიგნთ-საცავებით ისარგებლოს ხალხმა, კიდევ რომ ვიგოვთ რომოდენიმე საჭირო და შესაფერი წიგნი. ჩემია აზრით წიგნთ-საცავების დაარსება ეკლესიებთან უნდა მიენდოს ბლაღოჩინებს და სამღვდლოებს, რომ მათ დაარსონ ასეთი წიგნთ-საცავები იქ, სადაც შესაძლებელი იქნება.

თაყმჯალმანე კრებისა. ჩვენგან ითხოვება უსათუოდ საზოგადო ეპარქიალური წიგნთ-საწყობის

დაარსება და წინადადება გვეძლევა ამ საქმისათვის საშუალებაც გამოენახოთ რაიმე სამი ათას მანეთამდე.

დგ. დ. დამასაძიე. სწორეთ ბედნიერია ის ღებუტატი, რომელიც წინა კრებებზე არ დასწრებია; ასეთი ღებუტატს ყოველივე ის, რაც დღეს აქ წარმოითქვა, ეგონება, ვითომ, პირველად იყოს აღძრული ეს კითხვა. მაგრამ იმ ღებუტატისათვის, რომელიც წინა კრებებზე დასწრებია, აქ არაფერი ახალი არ თქმულა, მხოლოდ ყოველივე აქ ნათქვამი განმეორება არის და სხვა არაფერი. წინა კრებებზეც ილაპარაკეს, რომ ყველა ეკლესიებთან დაარსებულყო წიგნთ-საცავები და დადგენილ იქნა კიდევ, რომ ყველა ეკლესიებთან, შეძლებისა მებრ, დაეარსებიათ წიგნთ-საცავები. ჟურნალი ამ საგნის შესახებ არა ერთხელ დამტკიცებულა, მაგრამ წიგნთ-საცავებს კი ვერსად ვხედავთ. ახლანდელი დადგენილობაც, ჩემის ფიქრით, ფუტად ჩაივლის. აი მე რას ვურჩევ კრებას.

საზოგადო ეპარქიალური წიგნთ-საწყობის დაარსება, საიღამაც ყველა სკოლებმა და მღვდლებმა შეიძლონ სახელმძღვანელოებს და სასწავლებლებში წინათი შინაარსის წიგნების მიღება, ფრიად სარგებლო და საჭიროა; მაგრამ, ჩემის აზრით, ასეთი საწყობების დაარსებისათვის სამღვდლოებს არ დასჭირდება არავითარი ხარჯი და მცოდნე კაცები. ამ საქმის მეთაურობა შეეძლოა მიეღო თავის თავზე ქართლის ეპარქიალურ სამრევლო სასწავლებლების რჩევას, რომლის მე-ვაღვლეზაც არის მიღება და ი-გება სახელმძღვანელო და სხვა წიგნებისა, რომელიც მას ეგზანენება სასწავლებლებს უმთავრესის რჩევისა-ღან, რომელიც არსებობს უწმ. სინოდთან. აქ არ შეიძლია არ უჩვენო კრებას იმერეთის ეპარქიალური სამრევლო სასწავლებლების რჩევის მოქმედებაზე, როგორც მე-ვაღვლოზე. ამ რჩევამ უკვე დაარსა ასეთი წიგნთ-საწყობი თავის სკოლების და ეკლესიების მრევლთათვის.

მაგრამ სამღვდლოებისათვის ამ წიგნთ-საწყობის დაარსების გარდა საჭიროა ყოველნაირ საეკლესიო ნივთების საწყობის დაარსებაც, რომ აქედან უფრო იაფად მოიპოვონ საჭირო ნივთები ეკლესიებისათვის. საეკლესიო ნივთების მოპოვება და სიიფად ჩვენში ძლიერ საძვიროა საქმეა. ჩვენში არ არის არც საზოგადოება და არც სხვა რაიმე დაწესებულება, რომელთა დახმარებით შეიძლებოდეს სყიდვა რაიმე საეკლესიო ნივთისა იაფ ფასად და თავის ღირზე.

* იხ. «იწყისა»-ს № 20, 1893 წ.



ერს ყილის ჩვენში ამ ნიეთებს? ვბრალელები, მოსლევ- მანებ, ფრანგები, სომხები და სხვები.

ამისთანა საწყობების დაარსების შესახებ მე აღე- ძარი კითხვა 1888 წელს, მაგრამ ჩემი მიზანს მა- ინკ ვერ მივახწვი. მაშინდელმა საქართველოს ექსპარ- ხისმა მირჩია, რომ მე თვითონ მომეცილა ხელი ამ საქმისათვის, და მეშინჯ, თუ რა შედეგი ექნებოდა ჩემს დაწყებულებას. ჩემმა გამოცდილებამ სწორით მშენიერი შედეგი დამანახვა. ნიეთები იგზავნება ძლიერ ზომიერ ფასად და, ჩემდა ვასაკვირლად, ხში- რად თვით კავკასიაში მართლ-მადიდებელი ქრისტიან- ნობის გამაერცლებელ საზოგადოებასაც მოუთხოვია ხოლმე ჩემგან სხვა და სხვა საეკლესიო ნიეთები და კიდევ მუღია ისინი ზომიერ ფასად. თუ მე, სოფლის მღვდელს, შემძლია ვაწარმოეო ეს საქმე, ნუ თუ არ შეიძლებოდა ასეთივე საწყობის დაარსება საქათვლო ტაძართან ქალაქებში? მაგრამ, სამწუხაროდ, ყოველი სასარგებლო საქმის დაწყებას გვიმლის ჩენი ჩენი უცოდინარობა და უზრუნვე- ლობა.

აქ ლაპარაკობენ, თუ რა საშუალება გამოანახონ ეპარქიალური საწყობის შესანახად. რა საჭიროა 3—4 ათასი მანეთი ამისთანა საწყობის დასარსებლად; თავ- დაბარებულად საჭიროა სადგომი და საწყობის მწვარ- მოცემბი; ნიეთები, რამდენიც გინდათ, სულ ნისაად მიიღებთ, თუ კი გვარანდა იქნება. საწყობს, თუ იგი კარგად წაიყენს საქმეს, არაიის დაზარება და შეწყენა არ დასჭირდება. ეპარქიებში საეკლესიო ნიეთების საწყობების დაარსება იმას გარდა, რომ აქედგან იაფ ფასად მოეპოვებთ ყოველივე საეკლესიო ნიეთებს, მოსპობს იმ ბოროტებას, რომელსაც დღეს სჩადიან ზოგიერთი სტაროსტები და სხვა პირები საეკლესიო ნიეთების სყიდვის დროს.

კითხვა საეკლესიო წიგნთ-საცავების დაარსების შესახებ, ფრიად საჭიროა და სასარგებლო საქმეა. ეკონებთ, ამ წიგნთ-საცავების დაარსების შესახებ, ეს მესამეთაა, რომ სამღვდლოებას მსჯელობა აქვს. ეკლესიებთან წიგნთ-საცავების დაარსება 1888 წელ- ში უჩრია სამღვდლოებას მისმა მაღალ ყოვლად უსამღვდლოესობამ, საქართველოს ექსპარხოსად ყო- ფილმა პალატიმ, რომელიც დღეს პეტერბურგის და ლადლარის მიტროპოლიტია. მაშინ სამღვდლოების კრებამ დაადგინა: **ვაფილად დაედგინოს ეკლესიისი წინამძღვრებს, რომ მათ, შეძლებს და ვგანად,**

დაარსონ წიგნთ-საცავება ეკლესიებთან. მაგრამ დღემდის არაფერი არ გაკეთებულა ამ საქმის შე- სახებ!

მოდლის ქადაგებითი სიტყვას, მიმართულს სამ- წყოსადმი ჯერ-ჯერობით არ შეუძლია სასურველი სარგებლობა მოატანოს სხვა და სხვა მიზნება გამო, და ამ საქმეში დიდ დახმარებას აღმოაჩენს მღვდელს საეკლესიო წიგნთ-საცავება. ასეთი წიგნთ-საცავების დაარსება თუ შესძლო მღვდელმა ეკლესიებთან და მასში შეკრიბა მდამოი ნიეთ შედგენილი წიგნები სარწმუნოებრივ-წიგნობითი შინაარსისა. შემდეგ მისთვის მართო საჭირო იქნება, რომ წიგნების კითხვ-ს საქმე დააყენოს ხეირიანს გზაზე, შეაყვაროს ხალხს წიგნ- ბის კითხვა და ან წაითხულის მოსმენა.

როგორც წინა კრებაზე, ისე დღესაც ბევრი წინააღმდეგია ეკლესიებთან წიგნთ-საცავების დაარ- სებისა და ამტკიცებენ, რომ ჩვენს ხალხში ჯერეთ კიდევ არ არის გავრცელებული წიგნების კითხვის სურვილი და არც საჭირო წიგნები მოიპოვება ქარ- თულს ენაზეო. ნება მომეცით, მამართ დებუტატრო, რომ დავამტკიცო ასეთი მსჯელობის უსაბუთობა. რომ ჩვენს ხალხს აქვს წიგნების კითხვის სურვილი, ამას ნათლად ამტკიცებს თფილისში წიგნების გამო- ცემები ამხანაგობის წარსული წლის ანგარიში. ამ ანგარიშიდან იჩანს, რომ ამხანაგობას წარსულს წელში გაუყიდნია 9000 მანეთის სხვა და სხვა წიგ- ნები.

დიდი ხანია ჩვენში იბეჭდებიან «არხენას ლექ- სები», «ქალ-ვაჟიანი», «ვარდ-ბულბულიანი» და სხვა წიგნები, რომელნიც მოკლებულნი არიან სარწმუნო- ებრივ-წიგნობითი შინაარსს; ეს წიგნები 2—3 ათა- სობით იბეჭდებიან და არა ერთ გზის გამოუყოფთ; თითოეული ცალი ამ წიგნებისა ისიყლება 5—25 კაპ., მაგრამ მაინც ბევრი სადღება ხალხში. რას ამ- ტკიცებს ეს, თუ არა იმას, რომ ჩვენს ხალხში წიგ- ნების კითხვის სურვილი ძლიერ გავრცელებულია, მაგრამ, სამწუხაროდ, ჩვენ არ ვართ იმდენად მომ- ზადებულნი, რომ ხალხს მივაწოდოთ შესაფერი სულიერი საჭარო. შეიძლება ზემოთ აღნიშნულნი წიგნაკები ასე ბევრი იმიტომ ვრცელდებოდეს ხალხში, რომ ამ წიგნაკების შინაარსი აქმაოფილებდეს ხალხს სურვილს და მისი გონების მოთხოვნილებას, რომ ჩვენი ხალხი ამებზე ნაკლებ არ კითხულობს სარწ- მუნოებრივი შინაარსის წიგნებსაც, ამის დასამტკი-

ცებლად ჩეხ შევიძლია უჩვერო ჩენი გამოცემანი, რომელნიც ძლიერ ვრცელდება ხალხში. ამ 13 წლის წინად თფლისში ბრიტანიის საზოგადოებამ დაბეჭდა ქართულს ენაზე სხანარი 7000 ცალი. სული მოკლე დროში გაიყვანა მთელი ეს გამოცემა. ნუ თუ ეს არ ამტკიცებს, რომ ხალხში არის საწმენო-წმენობრივი შინაარსის წიგნების კითხვის სურვილი, მაგრამ ამას საძვედელოება ვერ ამჩნევს და ვერ სარგებლობს ხალხის ასეთი სურვილით!

პროტესტანტებს, რომელნიც ჩვენთან შორს სცხოვრებენ, კარგად შენიშნული აქვთ, რომ ჩენი ხალხი ძლიერ ეტანება სასულიერო შინაარსის წიგნებს და კითხულობს და ამიტომაც იგიინ თაყიანთ წიგნაკებს ავრცელებენ ჩვენს ხალხში ქართულს ენაზედაც კი, რომ უფრო გავრცელდეს ხალხში თაყიანთ წიგნაკები, მათ ოსტატურად მოგზარებულნი სათაურებით გამოსცეს და გავრცელდეს შემდეგი წიგნები: «საქორწინო სამოსელი», «იესო ნაზარეფილი მოდის», «მწყემსი ჭეცხრები», «რა არის ქრისტიანე», «სამოთხე და ჯოჯოხეთი». არა, მმ. დებუტატრო, დრო არის ფილანთ რამე, ეკლესიებთან დაეაზრათ წიგნთ-საცაფები და ხალხში გავრცელდოს საწმენო-წმენობრივი შინაარსის წიგნაკები. ამ საქმის სისრულეში მოყვინასათვის მარტო ჟურნალის დადგენა არ კმარა, ჩვენ ჩენი ნათქვამი და დადგენილი, სისრულეშიაც უნდა მოვიყვანოთ».

10 ოქტომბერს საძვედელოების დებუტატებს კრება არა ჰქონია. ამ ღღეს ყველა დებუტატებმა მოისმინეს მათი მეუფების წირვა და საღამოთი აკათის ტრა და საუბარი მათივე მეუფებისა ბავშვების ქრისტიანულად აღზრდაზე. მათმა მეუფებამ მიმართა ხალხს და განუშარბა, თუ როგორ უნდა ცულობდეს თეთრული მშობლები, რომ თავის შვილი აღზრდოს ქრისტიანულად. ეს კითხვა, ბრძანა მათმა მეუფებამ, ფრიალ საქირა და ამ კითხვის გაუტებრობის გამო, ენს საზოგადოებაში ბერჩი რამ უბედურება ხდება, რომელიც აფერხებს როგორც ეკლესიის კეთილდგომარობას, ისე სახელმწიფოისას და ოჯახისას. საუბრის დაწყებამდე მათმა მეუფებამ ბრძანა, რომ გი დღეიდან ამ კითხვის შესახებ წარმოსთქვამს ვერცელს საუბარებს, რადგან მათი მეუფება საქროდ ედავს ამ კითხვის განმარტებას, ეინაილდან ჩენის ქრისტიანთა საზოგადოებაში ხშირად საყვედური ისმის, რომ ბავშვები მოკლებული არიან ხეირიან ღზრდას; ანას სჩივის ეკლესია, სახელმწიფო, სკო-

ლაც და მშობლებიც. მაგრამ სად არის მიზეზი ამ სამწუხარო მოვლენისა? არ შეიძლება ვთქვით, რომ ეს ბოროტება იმალებოდეს თეთრონ ბავშვებსა გულსა და სულში, ეინაილდან ღმერთმა ჯერ კიდევ პირველ-შივე აკურთხა მშობნიკრება და კაცთა ნათესავის გამრავლება. უფალმა იესო ქრისტემ კანაში ქორწინებლ დასწრებით აკურთხა ქორწინება და დააღვინა განუყრელობა ქორწინებითი შეუღლებისა შემდეგი სიტყვებით: «რაიცა ღმერთმა შეაჩრთა, კაცნი ნუ განაშორებენ». სული წმიდა საიდუმლო ნათლისღების დროს ბავშვებს შობს ახალი და წმიდა ცხოვრებისათვის და ქმნის მათ უცოდველად. ამას გარდა, ბავშვის ბუნება ისე რბილია, რომ იგი, ერთი ფილოსოფოსის სიტყვისაგებ, ემზავსება თაფლის ცვილს, რომელზედაც შეიძლება აღიბეჭდოს ღეთის სახეც, და ეშმაკისაც. ამ სამწუხარო მოვლენის მიზეზი არც სკოლაშია, ეინაილდან დღი ხნილდან შენიშნულია, რომ, როგორც ამბობს მეორე ფილოსოფოსი, ბავშვებს ხშირად ისეთი მიმართულება და ჩეულებანი მოაქვს სკოლებში, რომელნიც წინამძღენი არიან სკოლის წესებისა და ასეთ ყმაწვილებს მეტად ცუდი გავლენა აქვს სხვა ყმაწვილებზედაც, რომელნიც წინებითად მოშენიერად არიან აღზრდილნი. ამ სამწუხარო მოვლენის მიზეზი არც ახლანდელი დროის მიმართულებაში უნდა ევითათ. მართალია, აწმყო საუკუნე თავისებურად მოქმედებს ბერჩე; იგი თავის ზედგავლენით არყვეს წმიდა ჩეულებათა და კეთილწინობას, მაგრამ ამას მიუხედავად ჩენს დროშიაც ეხედეთ ბერჩე ოჯახს, სადაც ყმაწვილები მშენიერად იზრდებიან და მოკლებულნი არიან ყოველივე სიტუდეს და ცუდ მიმართულებას, რომელთაც ზოგიერთ ბავშვებში ისე მტკიცედ გაუღვამსთ ფეხვი, რომ მათი ამოფხარა შეუძლებელი ხდება შემდეგში. ამ სახით ამ სამწუხარო მოვლენის მიზეზი იპოვება არა ბავშვების ბუნებაში, არა სკოლაში, და ამა დროის ვითარებაში, არამედ თეთრონ მშობლებში, რომელნიც ყურადღებას არ აქცევენ, რომ მათი შვილები ქრისტიანულად იქმნენ აღზრდილნი.

მათი მეუფების საუბარმა მშენიერი შთაბეჭდილება მოახდინა ხალხზე.





ჰეტაგოგიური შენიშვნები სამხრეთლო სკოლის მასწავლებელთა საუბრაბდებობა.

(წერილი მეექვსე)

(დასასრული *).

ესტქვათ დედამ წაიყვანა თავის ბავშვი უზრალა ღარიბ სოფლის ეკლესიაში, რომელიც ვერ გააკვირვებს კაცს ვერც სიმაღლით, ვერც სიფრთხილით და ვერც ხუროთმოძღვრების სიმშენიერით. ამ ეკლესიაში სულ უზრალა ხატები ასვენია, კანკელი არ ბრწყინავს არც ოქროს და არც ვერცხლის ფერად; მღვდელი ძველ დაფლეთილ შესამოსელშია, ლოცულობს და გალობს ერთი დიაკონი, მაგრამ ბავშვი ხედავს, რომ დედა გულმოდგინედ, მოწიწებით ყურს უგდებს მღვდლისა და დიაკონის კითხვა-გალობას, არ იხედება აქეთ-იქით, არავის არ ელაპარაკება; მამსაბადმე რაც ბავშვის წინ კეთდება ამ ჟამად არც თამაშობაა, არც თავის შექცევა და არც ჩვეულებრივი მუშაობა, რომლის დროსაც ლაპარაკი შეიძლება, სიტილიც და სიმღერაც. იქვე სხვებაც მოწიწებით ყურს უგდებენ მღვდელ-დიაკონის ლოცვა-გალობას—მლოცველთა გრძნობა უშუამდგომლოდ გადაეცემა ბავშვს, რომელსაც ხელახლად წარმოუდგება, დედაბაბაა, რომ ის უხილაეი არსება, ვისაც ეს ხალხი ლოცულობს, უნდა იყოს კეთილი, სახიერი, ალერსიანი და შემბრალებელი—და სხვ. როცა ამნარი წარმოადგენილებით აღჭურვილი ბავშვი შემოდის სკოლაში, მასწავლებელმა იმ ჰეტაგოგიური კანონის მიხედვით, რომელიც ამბობს სწავლების დროს გადადი ცნობილიდამ უქნობზეო, მასწავლებელი თავდაპირველად უნდა ესაუბროს მოწაფეებს ღმერთზე, მისდამი ლოცვაზე, ღვთის თვისებებზე და განუმტკიცოს მოწაფეებს წარმოდგენილობა, რომელიც წინადა ჰქონდა მდგენილი.

უფრო ნამდვილს საშუალებას ბავშვების კეთილ-მასწავლებაში აღზრდისათვის შეადგენს ლოცვები, მაგრამ რომ ამ უქანსენელს ჰქონდეს ჰემარიტად და წეობრივად ამღზრდებლობით მნიშვნელობა—საჭიროა ისე გამჯდარი ჰქონდეს ბავშვს გულში ლოცვის სიტყვები, რომ ლოცვის დროს იგი მარტო გაზეზირებული სიტყვებს კი არ უნდა იმეორებდეს, არამედ ყოველის გულით უნდა ამოლდეს იქამდის, ვისდამიც მიტკეულია მისი ლოცვა, ამიტომ საჭიროა და ფრად საჭიროც, რომ ლოცვის შინაარსი ცხადად და შეგებულად წარმოდგენილი და ნაგრძნობი ჰქონდეს ბავშვს; საჭიროა აგრეთვე პირველად ისეთი ლოცვები ისწავლებოდეს, რომლის შინაარსი ადილიად წარმოსადგენია და საგრძნობი ბავშვისათვის, პირიქით ბავშვს ეცოდინება ლოცვები, მაგრამ ის ვერ იგრძნობს გულწრფელ საჭიროებას და მიდრეკილებას ლოცვისდამი. ლოცვის კითხვა ყოველთვის არ ნიშნავს ლოცვას. ლოცვების სწავლების დროს მასწავლებელი წინდაწინ უნდა ესაუბროს მოწაფეებს იმ ლოცვის შინაარსზე, რომლის სწავლებაც უნდა ბავშვებისათვის; როცა ბავშვები კარგად შეიგნებენ ლოცვის შინაარსს, მაშინ მასწავლებელმა ლოცვაში ნახმარი ღრბა სიტყვების მნიშვნელობა უნდა განუმარტოს და ასწავლოს ბავშვებს—შემდეგ ის ლოცვის სწავლებას პირდაპირ უნდა შეუდგეს ამნაირად: მასწავლებელი იტყვის თითო წინადადებას ლოცვისას, გამეორებიებს ბავშვებს, როგორც სათითაოდ, ისე ერთად-ხორთ. ამნაირად ზეპირად შეასწავლის ყველა საჭირო ლოცვებს თავის დროზე.

საყოველღეო ლოცვებს გარდა საღმრთო სჯულის პრაგამაზე ავალებს მასწავლებლებს ასწავლონ მოწაფეებს საღმრთო ისტორია ძველი და ახალი აღთქმისა, სოფილო-სარწმუნოებისა და ათი მკენება ახალით, და სწავლა ღვთის-მსახურებზე. საღმრთო ისტორიის სწავლების დროს უმთავრესი ყურადღება უნდა მიექცეს ახალ აღთქმას, ძველ აღთქმას კი იმდენად უნდა შეგნონ—რამდენათაც საჭიროა ახალი აღთქმის უკეთ გასაგებად. სწავლების გასადეობა

*) იხ. „მწიგნობ“-ს № 20 1893 წ.

ლოდ და მოთხოვნების შინაარსის კარგად შეგნებისათვის საჭიროა მასწავლებელმა ისტორიის სწავლებლის დროს იქონიოს სურათები და პალესტინის რუკა. სურათებს, გარდა იმისა, რომ უდალღობის სწავლებას, ის მნიშვნელობა აქვს, რომ ბავშვები გაიცნობენ და შეისწავლიან იმ ხატებს, რომელსაც ჰხედენ ეკლესიაში. სურათებზე სწავლება მოთხოვნებისა ასე უნდა წარმოებდეს: მასწავლებელი ჯერ ათქმევინებს მოწაფეებს, თუ რას ხედავენ სურათზე, ააწერინებს სურათს, შემდეგ მოუწევია მოწაფეებს მოკლედ მოთხრობის შინაარსს. როცა მოთხოვნის შინაარსის ვადაცემას გაათავებს—მასწავლებელი კითხვების შემწობით გამოკითხავს ვადაცემული სამოსწავლო მასალის შინაარსს, რომლის შემდეგ მოითხოვება დალაგებით თქმა მოთხოვნის შინაარსისა.

მრწამსისა და ათი მცნების ახსნის დროს მასწავლებელმა უნდა მოკლედ მიანიჭ გამოცხადების მოწაფეებს საღმრთო სჯულიდან ყველა გავლილი მასალის შინაარსი, ამასთან ავე ისარგებლოს ურთიერთ შორის კავშირით, რომელიც არსებობს ათ მცნებასა, სიმეოლო სარწმუნოების, საღმრთო ისტორიის და შესწავლილ ლოცვებს შორის.

ღვთის-მსახურებაზე სწავლების დროს მასწავლებელმა ჯერ უნდა გააცნოს მოწაფეები ტაძრის აწერლობას, განუმარტოს მოწაფეებს საეკლესიო საღმრთო საგნების სიმეოლოური მნიშვნელობა. წირვის ახსნის დროს უნდა მიეცეს მოწაფეების ყურადღება ღვთის-მსახურების უსაჭიროებს და უმთავრეს მოქმედებას, რომელიც ცხადად და თვალსაჩინოდ გვიხატავს სხვა და სხვა შემთხვევას მაცხოვრის ქვეყნად ყოფნის დროინდელს. აქვე მასწავლებელი აუხსნის და განუმარტავს მოწაფეებს შინაარსს სხვა და სხვა ასამაღლებლებისას, გააცნობს ბავშვებს ეკლესიური საგალობლების შინაარსს, რომელთაგანაც ზოგიერთის ზეპირად შესწავლაც უსარგებლო არ იქნება.

ყველა სამოსწავლო საგანს აზრად უნდა ჰქონდეს, რომ ბავშვს განუძლიეროს მეტყველება, გაუღვიძოს გრძობანი, წარმოდგენანი, გაუფართოვოს ცნობების ჰორიზონტი და შეუმუშავოს აზროვნება. ყველა ამის ასრულება შეუძლია საღმრთო სჯულის სწავლებას, როგორც პირველ დაწყებითს აღმზრდ-

ლობითს სამოსწავლო საგანს, თუ მას პირველ დაწყებით სკოლაში დედა ენაზე ექნება მეთოდურად შემუშავებული სახელმძღვანელოები და ამ საგნის სწავლებაც; რასაკვირველია, დედა ენაზე იქნება—უამისოდ ეს საგანი სკოლას უკლავს ეროვნებითს თვისებას, რის გამო სკოლა ვერ აღწევს თავის დანიშნულებას, მიზანს. ყველასათვის ცხადი უნდა იყოს, თუ რა მიენებლობას და დანაშაულობას სჩადიან საზოგადოების წინაშე ზოგი ჩვენებური გადაბრუნებული მეტიზაზო სოფლის მასწავლებელი, რომელიც ყმაწვილს სკოლაში შემოსვლის დღიდანვე არა თუ მოთხოვნებს ლოცვებაც უტყობ ენაზე ასწავლის.

როგორც ყველა საგნების და ვარგოვად საღმრთო სჯულის კარგად სწავლებისთვისაც დღე მნიშვნელობა აქვს იმ სახელმძღვანელო წიგნს, რომელსაც მასწავლებელი ხმარობს სწავლებას დროს. ჩვენს სასულიერო მწერლობაში ამ ჭაშად ბლომად მოიპოვება სხვა და სხვა სახელმძღვანელოები ზოგი ნათარგმნი და ზოგი არიგინალური—საღმრთო სჯულის სასწავლებლად, მაგრამ იმათში ზოგიერთები ისეთია, რომ საცქვოა შესაფერისი ხელმძღვანელობა გაუწიოს ჩვენებურ ბავშვებს საღმრთო სჯულის შესწავლაში. ყველაზე უფრო სასარგებლოდ, უფრო მეთოდურად შემუშავებულად, ჩვენებურ სკოლებზე ზედ გამოტვირთილ სახელმძღვანელოდ ჩვენ მიგვიჩნია ჭეთაფრენის მოთხოვნანი საღმრთო ისტორიიდან ნაერო და სამარელო სკოლებისათვის, შედგენილი გ. როსელიანისაგან. ეს წიგნი და ამისივე ლოცვანი მკორე სარგებლობას არ მოუტანს ჩვენებურ სკოლებს, ამიტომ სასურველია იმათი ვარტყვლება ჩვენ სკოლებში მით უფრო, რომ ამ წიგნებს წინ მიუძღვის ვრცელი დარიგება საღმრთო სჯულის სწავლების შესახებ სამაგალითო ვარტყვლებით, რომლებშიდაც ბერის სასარგებლო რჩევას იპოვის საღმრთო სჯულის მასწავლებელი.

ლ. ბოგვაძე.





დრო გამომიცხალა.

„მე ვარ მწყემსი კეთილი: მწყემსმან კეთილმან სული თვისი დაჰსდგის ცნობარათთვის“ (იოანე 10—11).

(გუშლენი ახალგაზდა მღვდელმს.)

შემოდგომის გრილი ხალაო იყო. უმწეობისაგან დაობლებულ ქვეყანას მთეარის გამაცოცხლებელი შუტი მანუშგეშებლად ჯერ კიდევ არ მოვლინებოდა. სიბნელისაგან მოცული გზა ს. ღრიანკლეთისას ისე-დღე ვიწოა და მიხრილი-მოხრილი, დღეს უფროა გაუფალი და მგზავრებისათვის საშიშროა შექმნილიყო. სოფელი ღრიანკლეთი სადღესასწაულოდა მოკაზმულიყო. მამა იოანეც არ ჩამორჩენოდა უქან თავიანთ სოფელელებს. იოანეც დიდ მზადებაში იყო:

— მამაშაღე, შეილოა, ყველაფერი ბლომათ, უხედა; ღვთის მოცემული არაფერი გვაკლია! ამის მეტს ამ გორგობას ან მოვესწარები და ან არა! ასე ეუხუნებოდა მ. იოანე თავის მოხუცებულს პეტრია დიაკონს. პეტრია დიაკონიც უსმენდა თავის მოძღვარს და ორივენი დიდს აღტაცებით ევებებოდნენ დღესასწაულს, თითქო განგებ გრძობდნენ ორთავენი სიკვილის მოახლოებებს. ეს ორი მოხუცი დღეს სულ თვალგმათ იყენენ გარდაქცეულნი. ორივენი დაღბანი იტკირებოდნენ იმ მხარისკენ, საიდგანაც სტუმრებს მოვლოდნენ. მ. იოანე, შავი გიშრებით ხელში, ვოლთასას სცემდა აიგანზედ და დრო გამოაშეგებით ეკითხებოდა ხოლმე პეტრიას:

— პეტრე! ეგებ არც კი მოკიდნენ დღეს, მგარამ რაგორ დაიფეროა, რომ არ მნახავენ, არ გამაშარებენ! ჩემი ბარათი ხომ მიუთიღიდა ამდღეს ხანს? მაშ რათა დაიგვიანეს, ბი შებინდა კიდევაც და მათი არა ისმის რა?

— როგორ არა, ბატონო! თქვენნი ბარათი ისეთ კაცს გვატანენ, რომ პირდაპირ ვადასკემა და მე დარწმუნებული ვარ, მოკლენ კიდევაც, მაგრამ, ეს მაკვირვებს, რად დაიგვიანეს ასე! შეიძლება დილოს პირობენ წაბოსელება. განაგრიბა პეტრემ.

— სუ, აგერ ძალეები ყვენი! წამოიძახა მამა იოანემ. ეგებ ღმერთმა ჰქნას, ისინი იყენენ! აბა ადექ პეტრე, ბიკებს ლაუბახე, გახედონ. აგერ ხმაუქმების, გეძახიან «პეტრე, პეტრეო».

პეტრეს, მოხუცებულობისაგან, თუმც დაბუგებული ჰქონდა ცალი ყური და ნაკლებად ესმოდა, მაგრამ იმანაც ვაიგონა ძაღლის ყეფა და მასში დრო გამაშეებითი «პეტრეს» ძახილი. პეტრემ, მამა ილიარიონი ხმით იცნო, კარებში მიეგება, ცხენები ჩამოართვა, ორივე ცოლ-ქმარი მამა იოანესთან შეიყვანა და თვითონ ცხენების მოსაველელოთ გამობრუნდა. ახალგაზდა სიძე და შეილის შეილი დიდხანს იყენენ ჩაკუტლნი მამა იოანეს გრძობით სასეც გულში. სიხარულით აღტაცებული მამა იოანე ცხარე კრემლეს ღვრიდა და ხმა ათრთოლებული ჩაჰკითხოდა მათ:

— სად იყავით, შეილებო, ამდღეს ხანს? რად დაიგვიანეთ ასე? შენ, ქეთევან, განა არ იცოდა ჩემი სოფლის გზების ამბავი? რატომ აღრე არ წამოხვედით, შეილებო, გზაში გაგიჭირდათ განა?

— არა, ბატონო, გზაში არაფერი არ გაგვიჭირებია. ილარიონი ბლაღოჩინთან გახლდათ, ცოტა იქ დაგვიანდა. ცოტა მაგიერ მღვდლის შოგნაზედ დაგვიანდა, ცოტა მომზადებაში და ამასობაში კიდევაც შემოგვალამდა. მიუტო ქეთევანმა.

ასე ტყბილ მუხაიფში იყო მ. იოანე ერთ ხალაოს, როდესაც მას დიდი ხნის უნახავი შეილის შეილი და სიძე ეწვია.

მამა იოანე ს. ღრიანკლეთელი იყო. ის სულ პატარა დარჩა თავის მამას, ერთს შეძლებულს გლეხს. მამის მაგივრობა პატარა იოანეს ბიძამ გაუწია. ბიძა მისი ერთი უშვილო კაცი იყო, მასთან მხურვალე მლოცველი და ღვთის მოყვარული. მ. იოანეს პატარაობაშივე ეტყობოდა სიმკვირცხელი, ნიჭი და სასულიერო პირის მოწოდება. ბიძამაც არ დასტოვა იგი შეუშინეველად. რვა-ცხრა წლის პატარა იოანე სასულიერო სასწავლებელში მისცეს. პატარა ენომ სასწავლებელიც და სემინარიაც ერთ უკეთეს მგვირდით დაამთავრა და ს. ღრიანკლეთში მღვდლად გამოამწყსდა. მ. იოანე, სანამ სამსახურში იყო, ნამდვილი მამა იყო თავის საწყესობას. იგიც ხშირად უწოდებდა საწყესობას თავის შეილორად და ნამდვილ გრძობით მოსიყვარულე მამობრივი სიყვარული ჰქონდა მათი. მამა იოანე თუმც ამ მხრივ უხედა იყო დაჯილდოებული, მაგრამ მაგიერ ცოლ-შვილის უღრგოვო დროს მოშორებამ, იმათ გამოა მწყუხარებამ და ჯაერობა მამა იოანე უღრგოვად გააქალა-

რავა, დასუსტა და სრულგბით მოშალა. იოანემ ცოლ-შვილი ყმაწვილობაშივე დაჰკარვა. მის ნუფემს და იმედს მხოლოდ ერთი შვილის-შვილი, ჰატარა ქეთიყვანი შეადგენდა. შვილს სულში ისღა დარჩა, მისი სიცოცხლით სტყებობდა—ნუფემშობდა, ღღეს მ. იოანე ღრმა მოხუცებულა. სამახუროდგან ვადამ-დგარი და სცხოვრებს თავის სამშობლო სოფელს ღრიანკლეთში. მამა ილარიონი სულ ოც-დახუთ-ოც-და-ექვსი წლის ქორთუა ყმაწვილია. ერთი ან ორი წელიწადი იქნება, რაც სემინარია დაუთმთაფრებდა და სოფელს მღვდლათ განწესებულა. მ. ილარიონს არ მოწონს თავისი მოწოდება, ზიზღით იჯანგებს იმ დროს, როდესაც შესცდა, და ამ ხელობას ხელი მოჰკლდა.

— ბატონო, ღღენღღელ მღვდლობას და ისიც კიდევ ისეთ მიყრუებულ სოფელში, როგორც მე ვარ, სოფლის მწერლობა არ სჯობია?! აშბობდა მ. ილარიონი: მცირე ჯამაგარი, ხალხის სიღატაკე, შეუძლებლობა, შემოსავლის სიმცირე, გულცივობა, ზოგან გაუტანლობა, სიძულვილი მღვდლის, ეკლესიისა და მისის წესებისა მუდამ წინ გვლობდება და გიკლავს შრომის წყურვილს.

რა უნდა ჰქნას სოფელში მისულმა მღვდელმა განავრძო მ. ილარიონმა, სახლი მას არ აქვს და კარი, პური და ღვინო. ესთქეთ, ჩივილა ბლაღოჩინთან, ხალხს ძალით მოსთხოვა, მერე იმ მრევლში დასადგომი პირი ზნამ აღარ ექნება. ეინ რცის ჩენ ბედშვიებს—ახალგაზრდა სემინარიელ მღვდლებს რაებს არ გვიგონებენ; ეს ოთხშაბათ მარხნესაჰამო, ეს გვიან სწირავს, ადრე არ ღდება, ლოცვა-კურთხევას არ გვიძლევს, ჩენს ჩეულებებს საცინოდ იგდებსო და ეინ მოსთელისა კიდევ რაებს არ ლაპარაკებენ. წაღი და აფე ზა-სუხი. კვირა-უქმედ ღღეს ეკლესიაში ქადაგებას აპირობ—სამ კაცს ვერ ნახავ; ეინ საღ მიღის და ეინ საღ? ნუ თუ ამეიარ სამახურს მჩიეჭობდა არ სჯობია?

— უბ, შვილო, რა მესმის მე კადილის ეგა? ეის ადარე იმ წმიდა უზენაეს ღვთის მოწოდებას, რომელსაც მღვდლობა, მოძღვრობა ეწოდება?! შენ ძრიელ ახალგაზრდა ხარ, შვილო, მოძობაც არის, რამ სტდები და ძრიელ სკოლად უფლის წინაშე. გააწყვეტინა სიტყვა მოხუცებულმა მ. იოანემ, რომელიც ამღენს ხანს ჩუმათ იჯდა და ყურს უფდებდა მ. ილარიონის ლაპარაკს.

მოძღვარი ანუ მღვდელი ღვთისური სახეა, შვილო, იესო ქრისტეს. მოძღვრობა ღრდი მოკალღობაა, რამ ჩენ გვესმოდეს, მაგრამ ასში ერთს თუ ესმის, რა

მაღალი წოდებაა მქადაგებლის, ხალხის წინამძღობლობის სახელი ქვეყანაზედ. ნუ თუ ერთხელ მაინც არ ჩათქრებულხარ ჩენ მღვთმარებობაში, ნუ თუ ერთხელ მაინც არ დაჰკვირებინარ ჩენ ისტორიულ ცხოვრების მსვლელობას?! ეინ მოსთელის, შვილო, რამდენ ტანჯავა-წავალება, სისხლის დათხება, დაუზოგველი ღღენა გამოუღლია ჩენს ქვეყანას. ეინ იცის რა სიმწარეში იყოფებოდა იგი, როდესაც ასობით და ათასობით მის მკიდარ-შვილებს ხოცდენ, ეკლესიის და ქაღაქების კედლებს ლეწდენ, ამტკრევენდენ, მაგრამ ამ ბედშავს ხალხს, ამ ერთ ზუჰა ქართველობას თავისი იგიობა, თავისი ხალხისნობა მაინც არ დაუღარავს. ეინ მხნედი, მღვდრად ებრძოდა გულკერდ ღლი მიშვერილი თავის მოსხსნეე მტრებს და ერთხელაც არ შემდგარა ქართველის გული ცხელი ტყვის წინაშე.

— ეგები, მამო, მე შენზედ კარგად ვიცი, მაგრამ ამით რა გნებაესთ ღამიშტკიცოთ? გააწყვეტინა ლაპარაკი მ. ილარიონმა.

— მე მჯერა, შვილო, რომ ჩემზედ კარგათ უნდა იცოდეს, რანებად მე ღღეს მსურს დაწერილებით მოგვედაზარკო, მაგრამ, საუბედღლორით, თქვენგან იმ სარგებლობას ვერ ეხედავ, რაც მოსალოდნელია, განავრძო მ. იოანემ.

ამით მე ის მინდა დაგიშტკიცოთ, რომ ჩენი ქვეყნის ისტორიულ ცხოვრების, მხნეობის და სიმამაიის შემკავებელი და მტკიცეთ დამამყარებელი ერთობაზე, მშობაზედ, ქვეყნის ერთგულებასზედ იყო ის უმაღლესი და უზენაესი ძალა, რომელსაც სარწმუნოებას ეძახიან. ჩენი ქვეყანა ღღემღის იმ სარწმუნოებამ მოიფიქრებინა, რომელსაც ქართველობა ღღის ხნიღდან აღიარებს, ამ სარწმუნოების დროში ეის ეყავა ხელში, თუ არა იმ სასულიერო წოდებას, იმ მოძღვრებს, სოფლის მღვდლებს, რომლებსაც შენ, შვილო, ასე ზიზღით უყურებ? საღ მპოვებდა თავეშესაფარს მტრესან ღღენული ქართველი, თუ არა ეკლესიაში, ეისგან იძენდა ნუფემს, მხნეობას, მამა-შვილიერ დარიგებას უწინდელი ქართველი, თუ არა ისე იზავე მოიძღვრისგან, წმინდა ეკლესიისაგან? ეინ დიფარავდა სნულებისაგან, სიმინძურისაგან, ყოველგვარ ბიწიერ ცხოვრებისაგან მას, თუ არა მისივე მოძღვრის გონიერი ჩიგედი, დახმარება და ნუფემი? უწინდელი ეკლესია, ციხეც იყო და მოარწმუნეთა ოჯახიც, სადაც უფროსობა, თავობა ეკლესიისა ქრისტეს მაგიერ ქვეყნიერად მოძღვრის ჰქონდა მინიჭებული.

თუოფილე ხუტეივაქი

(შედეგი იქნება)



მწარამ ფიქრები.

